



დანართი №2

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

შპს სკოლა მილენიუმი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

წევრები:

ქეთევან რეხვიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)-

ნინო მარდიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება		შპს. სკოლა მილენიუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა		შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი		216373797

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია		
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)		ქ. რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი		ქ. რუსთავი ბოსტან-ქალაქის ქუჩა №3
საფოსტო ინდექსი		3700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი		https://millennium.edupage.org
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა		mileniumi2000@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი		0341286041

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 24 0000472187; 26.04.2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16,17 მაისი 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ქ. რუსთავი ბოსტან-ქალაქის ქუჩა №3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ქ. რუსთავი ბოსტან-ქალაქის ქუჩა №3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	ქ. რუსთავი ბოსტან-ქალაქის ქუჩა №3

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 16 და 17 მაისს, შპს სკოლა მოლენიუმში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს- სკოლის დირექტორებს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
220	102	165

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს საერთაშორისო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობას. ჰყავს სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები, გამარჯვებულია საგრანტო კონკურსებში, მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, მოსწავლეებს ხელს უწყობს სკოლის გაზეთის გამოცემაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 165	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - შეესაბამება;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - შეესაბამება;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - შეესაბამება.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდ. 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლამ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოს 2025 წლის 22 მაისამდე არსებული ექიმის გადამზადება და კვალიფიკაციის მიღება, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო პირობებს.
ინდ. 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან მუთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ	- სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსარკვეულ ვადაში(04.03.2026წ-მდე), „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N 370 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება; - სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, 16.09.2024წ. მდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, შეთანხმოს საკუთარი უსაფრთხოების წესი. • სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მოხედვით 04.03.2025 წ. მდე, უზრუნველყოს შენობის მდგრადობის შესახებ უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება.;
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდ 4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(16.05.2025) უზრუნველყოს სსსმ მოსწავლესათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სერვისის მიწოდება, კერძოდ დაასაქმოს სპეციალური მასწავლებელი და სხვა მხარდაჭერი სპეციალისტი.
ინდ. 4.2.3.2	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.	დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, 10.06.2024წ.-მდე უზრუნველყოს „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება, კერძოდ, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულება და ანგარიშგება შესაბამის უწყებასთან მონიტორინგის დასკვნების წარმოდგენის გზით.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდ. 3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	წარმოდგენილ სკოლის დებულებაში რეკომენდებულია მაფიოდ გაიმიჯნოს სკოლის დირექტორების ფუნქციები,



ინდ. 3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	სკოლამ შეიმუშაოს ფსიქოლოგიის სსსმ მოსწავლესთან მუშაობის შესაბამისი განრიგი ან სხვ. სადაც მისი ჩართულობით მოხდება სსსმ მოსწავლეს მხარდაჭერა.
ინდ. 3.5.1.4	სწავლების ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურობის გარემოს	მოაწყოს და აღჭურვოს რესუროთახი შესაბამისი რესურსებით და ინვენტარით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	დაწყებით საფეხურზე მე-5 კლასის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში სასურველია გაიწეროს ისეთი თემა(სპორტის სახეობა), რომელიც შესაბამისობაში მოვა სკოლის ინფრასტრუქტურასთან(კალათბურთი).
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია დაწყებითი საფეხურის მე-4, მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმის საკითხებში გაწერილი აქტივობების ტექნიკები შეიცვალოს შესაბამისი სპორტის სახეობების ელემენტებით.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	დაწყებით საფეხურზე, საგნობრივი კურიკულუმით გათვლილი სპორტის სახეობების შესწავლისას, სასურველია სკოლამ ხელი შეუწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამხმარე რესურსი ამ შემთხვევაში გარე სპორტული სივრცე მოწესრიგებული და გამოყენებული იქნას დაგეგმილის შესაბამისად. ბუნება -სასურველია, დაწყებითი საფეხურის ბუნების მე-2 კლასის კურიკულუმს ჩარჩოში აისახოს ქვეცნებები; ბუნების მე-6 კლასის კურიკულუმის თემების დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს „შპს სკოლა მილენიუმის V და VI კლასების ბუნების წლიური პროგრამის“ დოკუმენტთან.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს ბუნება-სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ განსავითარებელ შეფასებას, განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა სახეს, მაგ., სოლო ტაქსონომიას, მოსწავლეების შესასწავლი საკითხების/ქვესაკითხების მიმართებითი დონეზე გააზრების შემთხვევაში- მოლოდინების ცხრილებს, აგრეთვე, პრაქტიკაში ანგარიშის ფორმის სახით ფართოდ იყენებენ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკის შეფასებას, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა საკითხი უნდა შეესწავლა მოსწავლეს, რამდენად კარგად გაართვა მან თავი და ა.შ. , თუმცა ამ ანგარიშებში მკვეთრად არ ჩანს თუ რამდენად სიღრმისეულად შეძლო მოსწავლეს კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკვირვებული, ქვესაკითხის/საქიითხის



		გააზრება, ამიტომ სრულად მომზადდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის - კომპლექსურ დავალების ან/და სასწავლო პროექტების და სხვა შეთავაზების დროს და ამ ინფორმაციის საფუძველზე უფრო სრულყოფილად შეივსოს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკების შეფასების ანგარიშები. სკოლას ეძლევა რჩევა, ყველა სასწავლო თემის ფარგლებში, ინდიკატორების საფუძველზე, საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით მომზადებული იქნეს დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასის მეორე თემის და მე-6 კლასის ბუნების საგნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	ბუნება-სასურველია, შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მე და საზოგადოება უმჯობესია კურიკულუმებში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული, რაც გაამარტივებს ინფორმაციის წაკითხვას და აღქმას.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	• ბუნება-სკოლას ეძლევა რჩევა, კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას - “სასწავლო რესურსები”, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ძირითადი სახელმძღვანელოს რესურსი, დამხმარე რესურსები, (მაგალითად, “მასწავლებლის წიგნი”, “მოსწავლის რვეული”), ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტენეტრესურსები, ელექტრონული რესურსები), აგრეთვე, სპეციალურად შემუშავებული რესურსები, მაგალითად, დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები და ა.შ. • სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება,
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ჩვენი საქართველო V კლასის კურიკულუმში, თავფურცელზე კლასი არასწორად არის მითითებული. უნდა ეწეროს მე-5 კლასი.



		პირველ თემაში - „ქართლი“, დასაკონკრეტებელია რომელი სამიზნე ცნება და ქვეცნება რომელი საკითხით/საკითხებით მუშავდება. ქვესაკითხები არასწორად არის წარმოდგენილი. მეორე თემაში - „იმერეთი“, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული, რაც გაამარტივებს ინფორმაციის წაკითხვასა და აღქმას. ასევე, ქვესაკითხები არასწორად არის ფორმულირებული, რეალურად ის რაც ქვესაკითხებში წერია, არის საკითხები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს სხვადასხვა სამიზნე ცნება/ცნებები. ასევე, არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „სივრცე“, „მეურნეობა“ და „დრო“. მესამე თემაში - „სამეგრელო“ არ მუშავდება სამიზნე ცნება „სახელმწიფო“. მეოთხე თემაში - „სვანეთი“ და მეხუთე თემაში - „აჭარა“, დასაკონკრეტებელია საკითხები ასევე ცნებებისა და ქვეცნებების ურთიერთმიმართება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. კურიკულუმში, რესურსების კომპონენტში უნდა ჩანდეს გრიფირებული სახელმძღვანელო გარდა, სხვა რა რესურსს გამოიყენებს მასწავლებელი ამა თუ იმ თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დასამუშავებლად. VI კლასის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი მერვე სავალდებულო თემა - „სახელმწიფო, ჩვენი საქართველო“. პირველ თემაში - „კახეთი“ არ მუშავდება სამიზნე ცნება „მეურნეობა“. მეორე თემაში - „ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი“ არ მუშავდება სამიზნე ცნება „სახელმწიფო“. როგორც მე-5, ასევე მე-6 კლასის „ჩვენი საქართველო“-ს კურიკულუმები არ იძლევა ინფორმაციას როგორ, რომელი საკითხების საშუალებით დაამუშავებს მასწავლებელი თემების ფარგლებში ამა თუ იმ სამიზნე ცნებას. გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: 1. ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს; 2. მკაფიოდ უნდა ჩანდეს სამიზნე ცნებისა და ქვეცნების ურთიერთმიმართება; 3. თითოეული სამიზნე ცნების გასწვრივ უნდა ჩანდეს ის საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომლის საშუალებითაც დაამუშავებს მასწავლებელი ამა თუ იმ სამიზნე ცნებას; 4. რესურსებში, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა უნდა ჩანდეს რომელ დამხმარ რესურსს გამოიყენებს მასწავლებელი სამიზნე ცნებების დასამუშავებლად;
	საბაზო საფეხურის პროგრამა	



ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სპორტი-საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში შერჩეულ თემა ოლიმპიზმში სასურველია გაიწეროს სხვადასხვა საკითხები. სასურველია საბაზო საფეხურის მე-9 კლასის კურიკულუმის საკითხებში გაწერილი აქტივობები ტექნიკების დახვეწა შეიცვალოს შესაბამისი სპორტის სახეობების ტექნიკით. ბიოლოგია-სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში სკოლამ გაითვალისწინოს გარკვეული რჩევები და აღმოფხვრას ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ: მე-7, მე-8 და მე-9 კლასების ბიოლოგიის, კურიკულუმებში აისახოს ქვეცნებები; ბიოლოგიის მე-7 კლასის კურიკულუმის თემები შესაბამისობაში მოვიდეს „შპს სკოლა მილენიუმის საბაზო საფეხურის ბიოლოგიის წლიური პროგრამის“ დოკუმენტთან, ამიტომ გამოკვეთოს მეხუთე თემა „სასიცოცხლო ციკლი“ და პირველი თემის დასახელება-„უჯრული“ გადაინაცვლოს საკითხთა კლასტერის სვეტში
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	• ბიოლოგიის, ფიზიკის, საბაზო საფეხური კურიკულუმებში სასწავლო რესურსების სვეტი შეივსოს, ან/და დაკონკრეტდეს ელექტრონული რესურსებით ვიდეო, ანიმაციური ფილმებით, მრავალფეროვან ინტენეტ-რესურსებით, მაგალითად, ტელესკოლის ვიდეო არქივიდან და სხვა. • ქიმიის მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, მე-2 „ჰერი“ და მე-3 „ელემენტთა ორგანიზაციის პრინციპები“ მე-9 კლასის, მე-2 თემის „ნათობი და მისი პროდუქტები; ბუნებრივი აირი“ ფარგლებში აისახოს გამოტოვებული სასწავლო რესურსები. სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება • სკოლას ეძლევა რჩევა, კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას - „სასწავლო რესურსები“, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ძირითადი სახელმძღვანელოს რესურსი, დამხმარე რესურსები, (მაგალითად, „მასწავლებლის წიგნი“, „მოსწავლის რვეული“), ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტენეტრესურსები, ელექტრონული რესურსები), აგრეთვე, სპეციალურად შემუშავებული რესურსები, მაგალითად, დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები და ა.შ.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	საბაზო საფეხურზე, საგნობრივი კურიკულუმით გათვლილი სპორტის სახეობების შესწავლისას, სასურველია სკოლამ ხელი შეუწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.



ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამხმარე რესურსი ამ შემთხვევაში გარე სპორტული სივრცე მოწესრიგებული და გამოყენებული იქნას დაგეგმილის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, სასურველია გაიწეროს შერჩეული სპორტის სახეობებიდან გამომდინარე. <i>ბიოლოგია/ქიმია</i>- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ განსავითარებელ შეფასებას, განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა სახეს, მაგ., სოლო ტაქსონომიას, მოსწავლეების შესასწავლი საკითხების/ქვესაკითხების მიმართებითი დონეზე გააზრების შემთხვევაში- მოლოდინების ცხრილებს, აგრეთვე, პრაქტიკაში ანგარიშის ფორმის სახით ფართოდ იყენებენ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკის შეფასებას, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა საკითხი უნდა შეესწავლა მოსწავლეს, რამდენად კარგად გაართვა მან თავი და ა.შ. , თუმცა ამ ანგარიშებში მკვეთრად არ ჩანს თუ რამდენად სიღრმისეულად შეძლო მოსწავლეს კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკვირვებული, ქვესაკითხის/საქიითხის გააზრება, ამიტომ სრულად მომზადდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ- მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის - კომპლექსურ დავალების ან/და სასწავლო პროექტების და სხვა შეთავაზების დროს და ამ ინფორმაციის საფუძველზე უფრო სრულყოფილად შეივსოს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკის შეფასების ანგარიშები.სკოლას ეძლევა რჩევა, ყველა სასწავლო თემის ფარგლებში, ინდიკატორების საფუძველზე, საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით მომზადებული იქნეს ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	გეოგრაფია -VII, VIII და IX კლასის კურიკულუმებში დასაკონკრეტებელია სამიზნე ცნების ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, ქვეცნებები და ასევე, დამატებითი რესურსი. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული ინფორმაცია არის ძალიან ზოგადი, რაც არ/ვერ იძლე სრულ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ არის გეოგრაფიაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2 გეოგრაფია - VII, VIII და IX კლასის კურიკულუმებში დასაკონკრეტებელია სამიზნე ცნების ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, ქვეცნებები და ასევე, დამატებითი რესურსი. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული ინფორმაცია არის ძალიან ზოგადი, რაც არ/ვერ იძლე სრულ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ არის გეოგრაფიაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი.



		ისტორია-VII კლასის კურიკულუმში, პირველ და მეორე თემაში არ ჩანს რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება სამიზნე ცნება „ძალაუფლება“. სამივე კლასის კურიკულუმში უმჯობესია დაკონკრეტდეს თითოეული სამიზნე ცნების გასწვრივ იმ საკითხების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც დამუშავდება ესა თუ ის სამიზნე ცნება. მსგავსი სახით წარმოდგენილი კურიკულუმში, ართულებს იმის გაგება-გააზრებას, თუ რომელი სამიზნე ცნება, ქვეცნება, საკითხი და ქვესაკითხი უნდა განვიხილო ერთ კონტექსტში. კურიკულუმში ვხვდებით სამიზნე ცნებას „წყარო, ისტორიული კვლევა“, რაც არასწორია. სტანდარტის მიხედვით უნდა ეწეროს „ისტორიული წყარო“. ისტორიაში, საბაზო საფეხურზე არის სულ 6 შედეგი, შესაბამისად, კურიკულუმში მოცემული შედეგების ინდექსი არასწორია და უნდა შესწორდეს. მოქალაქეობა-IX კლასის კურიკულუმში, მეოთხე თემაში - „გარემოს დაცვა“ არ მუშავდება სამიზნე ცნება „დემოკრატია“. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს.
--	--	--

	საშუალო საფეხურის პროგრამა	
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში შერჩეულ თემა ოლიმპიზმში სასურველია გაიწეროს თემიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხები. ფიზიკა, ბიოლოგია- სასურველია, საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში სკოლამ გაითვალისწინოს გარკვეული რჩევები და აღმოფხვრას ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ: მე-10 და მე-11 კლასების ბიოლოგიის, მე-11 კლასის ფიზიკის კურიკულუმებში აისახოს ქვეცნებები: ბიოლოგიის მე-10 კლასის კურიკულუმის თემები შესაბამისობაში მოვიდეს „შპს სკოლა მილენიუმის ბიოლოგიის კურიკულუმის X და XI კლასების წლიური პროგრამის“ დოკუმენტთან, სადაც გამოკვეთილი იქნება ორი მსხვილი თემა -“უჯრედის ბიოლოგია” და “უჯრედის გამრავლება”, ხოლო პირველი თემა შესაძლებელია დაიყოს სამ ურთიერთდაკავშირებულ საკითხთა კლასტერებად. კლასტერის ფარგლებში ერთ-ერთ ერთეულს ენიჭება ძირითადი საკითხის სტატუსი, რომელსაც შესაძლოა ქვეთემის სტატუსიც ჰქონდეს, აქედან გამომდინარე, “უჯრედის კომპონენტები”, “უჯრედის ქიმიური შემადგენლობა”, და “უჯრედული მეტაბოლიზმი” ეს არის არა თემების სახელწოდებები, არამედ, ძირითადი საკითხების ან ქვეთემების დასახელებები; ბიოლოგიის მე-11 კლასის კურიკულუმის თემები შესაბამისობაში მოვიდეს „შპს სკოლა მილენიუმის ბიოლოგიის კურიკულუმის X და XI კლასების წლიური პროგრამის“ დოკუმენტთან, სადაც გამოიკვეთება ორი მსხვილი თემა



		“გენეტიკა” და “ევოლუცია”, ხოლო პირველი თემის ფარგლებში იკვეთება რამდენიმე კლასტერები, ძირითადი საკითხების დასახელებით მაგალითად- “მემკვიდრეობის გენეტიკური კანონზომიერებები”, “ბიოტექნოლოგია”, “ცვალებადობა”. მეორე თემაში- “ევოლუცია” აისახოს გამოტოვებული საკითხთა (ძირითადი) ან საკითხთა კლასტერი.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	საშუალო საფეხურზე, საგნობრივი კურიკულუმით გათვლილი სპორტის სახეობების შესწავლისას, სასურველია სკოლამ ხელი შეუწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამხმარე რესურსი ამ შემთხვევაში გარე სპორტული სივრცე მოწესრიგებული და გამოყენებული იქნას დაგეგმილის შესაბამისად
ინდიკატორი 2.2.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკა, ქიმია-მე-10 კლასის ფიზიკის და მე-11 კლასის ქიმიის კურიკულუმების ჩარჩოებში შეივსოს და დაკონკრეტდეს სასწავლო რესურსები. •სკოლას ეძლევა რჩევა, კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას - “სასწავლო რესურსები”, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ძირითადი სახელმძღვანელოს რესურსი, დამხმარე რესურსები, (მაგალითად, “მასწავლებლის წიგნი”, “მოსწავლის რეგული”, ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტენეტრესურსები, ელექტრონული რესურსები), აგრეთვე, სპეციალურად შემუშავებული რესურსები, მაგალითად, დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები და ა.შ. სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, სასურველია გაიწეროს შერჩეული სპორტის სახეობებიდან გამომდინარე. ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია-სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ განსავითარებელ შეფასებას, განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა სახეს, მაგ., სოლო ტაქსონომიას, მოსწავლეების შესასწავლი საკითხების/ქვესაკითხების მიმართებითი დონეზე გააზრების შემთხვევაში- მოლოდინების ცხრილებს, აგრეთვე, პრაქტიკაში ანგარიშის ფორმის სახით ფართოდ იყენებენ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკების შეფასებას, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა საკითხი უნდა შეესწავლა მოსწავლეს, რამდენად კარგად გაართვა მან თავი და ა.შ. , თუმცა ამ ანგარიშებში მკვეთრად არ ჩანს თუ რამდენად სიღრმისეულად შეძლო მოსწავლეს კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკვირვებული, ქვესაკითხის/საქიითხის გააზრება , ამიტომ სრულად მომზადდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შუალედური



		სასწავლო მიზნის ფორმატის - კომპლექსურ დავალების ან/და სასწავლო პროექტების და სხვა შეთავაზების დროს, და ამ ინფორმაციის საფუძველზე უფრო სრულყოფილად შეივსოს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკების შეფასების ანგარიშები. სკოლას ეძლევა რჩევა, ყველა სასწავლო თემის ფარგლებში, ინდიკატორების საფუძველზე, საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით მომზადებული იქნეს ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	გეოგრაფია-საშუალო საფეხური კურიკულუმის შესავალ ნაწილში თემები არასწორად არის წარმოდგენილი. მე-10 და მე-11 კლასებში, საშუალო საფეხურზე არის სულ 4 სავალდებულო თემა. მე-11 კლასის კურიკულუმში პირველი თემა უნდა იყოს „კლიმატის გლობალური ცვლილება“, ხოლო მეორე თემა კი „გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილება“. არცერთი სავალდებულო თემა არ ჩანს კურიკულუმში. კურიკულუმებში თითოეული თემის გასწვრივ დასაკონკრეტებელია ის საკითხები, რომელთა საშუალებითაც დამუშავდება ეს თუ ის სამიზნე ცნება. ასევე, უნდა მიეთითოს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი რესურსი, რომელსაც გამოყენებს მასწავლებელი თემის დამუშავებისას. ისტორია-X კლასის კურიკულუმში, პირველ სვეტში წარმოდგენილი ე.წ ქვეცნებები არის საკითხები, ან კონტექსტ მაგალითები, რომელთა ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს სამიზნე ცნებები. მაგ. „იუსტინიანეს დაპყრობითი ომები“ არის საკითხი, რომელშიც დამუშავდება სამიზნე ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“, ხოლო ქვეცნება იქნება „ბრძოლა/ომი“ შესაბამისად, კურიკულუმი გასასწორებელია. XI კლასის კურიკულუმში, შესაძლო თემაში „ხანგრძლივი XIX საუკუნე“, არ მუშავდება სამიზნე ცნება „დრო“. ასევე, პირველ სვეტში წარმოდგენილი ე.წ ქვეცნებები არის საკითხები, ან კონტექსტ მაგალითები, რომელთა ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს სამიზნე ცნებები. მაგ. „ლინკოლნის პრეზიდენტობა“ არის საკითხი, რომელშიც დამუშავდება სამიზნე ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“, ხოლო ქვეცნება იქნება „ისტორიული პიროვნება“. შესაბამისად, კურიკულუმი გასასწორებელია. საქართველოს ისტორია-X კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში - „საქართველო ანტიკურ ხანაში (ახ. წ. III საუკუნემდე)“ არ მუშავდება სამიზნე ცნება „სივრცე“. შესაძლო თემაში - „საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში(1014 წლამდე)“ ასევე არ მუშავდება სამიზნე ცნება „სივრცე“. კურიკულუმში, პირველ სვეტში წარმოდგენილი ე.წ ქვეცნებები არის საკითხები, ან კონტექსტ მაგალითები, რომელთა ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს სამიზნე ცნებები. მაგ. „წმ. ნინოსა და მირიან მეფის მოღვაწეობა“ არ არის ქვეცნება, ისევე, როგორც ქვეცნება არ შეიძლება იყოს „მეფობის გაუქმება ეგრისში“ და სხვა. შესაბამისად, კურიკულუმი გასასწორებელია.



		XI კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში - „განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში“, არ მუშავდება სამიზნე ცნება „სივრცე“. მეორე თემაში - „საქართველო XV-XVIII საუკუნეებში“, არ მუშავდება სამიზნე ცნება „სივრცე“. კურიკულუმში, პირველ სვეტში წარმოდგენილი ე.წ ქვეცნებები არის საკითხები, ან კონტექსტ მაგალითები, რომელთა ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს სამიზნე ცნებები. მაგ. „ქართული მიწების თავმოყრა რუსეთის იმპერიაში“ არ არის ქვეცნება, ისევე, როგორც ქვეცნება არ შეიძლება იყოს „ბერლინის ტრაქტატი“ და სხვა. შესაბამისად, კურიკულუმი გასასწორებელია. მოქალაქეობა-საშუალო საფეხური კურიკულუმის შესავალ ნაწილში თემები არასწორად არის წარმოდგენილი. მე-10 კლასში უნდა იყოს ორი სავალდებულო თემა: 1. გლობალური მოქალაქეობა და 2. სამართლებრივი კულტურა. მე-10 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები არასწორად არის წარმოდგენილი. მაგ. „სოციალიზაცია“ და „ინიციატივა“ არ არის სამიზნე ცნებები. ასევე არ ჩანს როგორ დამუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“. მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმებში სამიზნე ცნებებთან უმჯობესია დაკონკრეტდეს ქვეცნებები, რომლებიც დამუშავდება კომპლექსურ დავალებებში.
--	--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია 2022 წლის 21 მარტის No41/6/01-23/6 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, გამოაცხადოს კონკურსი და ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმთან. (ვიზიტი 13.09.2022);

შესრულების სტატუსი: ვერ შესრულდა.

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს. სკოლა მილენიუმის მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, ვადები და რესურსები რელევანტურია და იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; შპს სკოლა მილენიუმის (შემდგომში „სკოლა“, „დაწესებულება“) მისია: „აღზარდოს თანამედროვე ცოდნითა და ეროვნული თვითშეგნებით აღჭურვილი შემოქმედი მოქალაქე, რომელიც წარმატებული იქნება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.“

სკოლის ხედვა: „2030 წლისთვის სკოლა თავს ხედავს, როგორც აღიარებულ და წარმატებულ სასწავლო დაწესებულებას, რომელიც გამოირჩევა სწავლა-სწავლების პროცესის ინოვაციურობით, ორგანიზაციული კულტურით, სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებათა პატივისცემითა და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.“ სკოლის მისია გამომდინარეობს გრძელვადიანი მიზნებიდან, რომ, ერთი მხრივ, აღზარდოს საფუძვლიანი თანამედროვე ცოდნითა და ეროვნული იდენტობით აღჭურვილი მოქალაქე, რომელიც, მეორე მხრივ, შემოქმედებითად განავითარებს საკუთარ პიროვნებას, რათა წარმატებას მიაღწიოს, მოღვაწეობის ადგილის მიუხედავად, ხოლო სკოლის ხედვა წარმოადგენს სკოლის მისიის განხორციელების სასურველ შედეგს, სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს რითაც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს; სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ

სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლის ფილოსოფიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მისი როლი მოსწავლის მიღწევებსა და შედეგებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; წარმოდგენილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ჯგუფის შეხვედრების ოქმები, რომელსაც დაევალა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება. საზოგადოების უფრო ფართო წრისათვის გასაცნობად გამოქვეყნდა სკოლის ვებგვერდზე პროექტის სახით. ჩატარდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. უკუკავშირები გათვალისწინებულ იქნა საბოლოო დოკუმენტში. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, სამუშაო შეხვედრებზე, მშობელთა კრებებზე, სკოლის ღირეუტორის განმარტებით, მოხდა ზემიპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლის სახელწოდებაში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო საქმიანობა, რითაც შეესაბამება და დაკმაყოფილებულია ინდიკატორი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრების ოქმები;

სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

ვებ- გვერდი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის ნაწილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტის მიხედვით სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება და მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:

ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;

მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა;

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება;

სამოქმედო გეგმის შემუშავება;

შესრულების მონიტორინგი. აღნიშნულის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია საზოგადოებისა და ჩართულ მხარეთა პრიორიტეტები და ინტერესები.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და პროცესში მათ ჩართულობას, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წ. სტრატეგიული

განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი (დამტკიცებულია 2023 წლის 20 სექტემბრის № 1/61 ბრძანებით). ის შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს და გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან. კერძოდ:

სკოლის სტრატეგიული მიზნები:

ა. თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა;

ბ. თანამშრომელთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

გ. სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

დ. სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

გეგმაში ასახულია მიზნების მისაღწევი ამოცანები, გეგმის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი პუნქტებით: ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, ფოკუსი პროგრესზე დაფუძნებული დოკუმენტის შექმნამდე, თუ რა გზა გაიარა. მისია, ხედვა, ღირებულებები, აღწერა იმისა, თუ როგორ იქნა დოკუმენტი შემუშავებული, სტრატეგიული გეგმის ნაწილია დაგეგმვის მეთოდოლოგია „SWOT ანალიზი“, მასზე დაფუძნებული იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები, მათი აღწერა და თითოეული მიზნისთვის შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა, რაც ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი გეგმა (დამტკიცებულია 2023 წლის 20 სექტემბრის № 1/62 ბრძანებით) ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, მასში გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია გასული სასწავლო წლის შეჯამების და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, დოკუმენტში ასახულია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და სხვ. სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიული გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან (2023-2024 წწ) სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, წარმოდგენილია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. სტრატეგიული მიზნის შესაბამისად გაწერილია აქტივობების რეალისტური განხორციელების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები, რაც თვალსაჩინოს ხდის რამდენად შესრულდა

კონკრეტული ამოცანა, ასევე გაწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**
მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშია აღწერილი, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება/შეუსრულებლობას, მოსდევს შეფასების პროცესი, რომელიც პროცესს ხარისხობრივად აკონტროლებს. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.
2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;** მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; მონიტორინგის პროცესს წარმართავს სკოლის დირექცია, რომელიც უზრუნველყოფს

კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგები, რომლის საფუძველზე განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; დაწესებულების მიერ საჯაროდაა, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ანგარიში, რითაც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. განვითარებისთვის. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება და გამოიყენება სკოლის განვითარებისთვის. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს ირკვევა, რომ რეგულარულად იმართება შეხვედრები, ტარდება გამოკითხვები, რომელზეც განიხილება ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით, იკვეთება საჭიროებები, პრობლემები და ისახება გადაჭრის გზები. სასწავლო წლის ბოლოს, კათედრების თავმჯდომარეების, სკოლის დირექციის ანგარიშის საფუძველზე ხდება სკოლის მუშაობის შედეგების ანალიზის გათვალისწინება. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა აანალიზებს, განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და სუსტ მხარეებს. აღნიშნულ ანალიზს გამოიყენება მომავალი საქმიანობების დასაგეგმად, რათა მოხდეს თავსებადობა სტრატეგიული განვითარების გეგმასთან საბოლოო მიზნის მისაღწევად ან ახალი რეალობის გათვალისწინებით მოახდინონ მასში ცვლილებების შეტანა. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სტრატეგიული გეგმის შესრულების გამოქვეყნებული ანგარიშით ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის № 1/111 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს. სკოლა მილენიუმის დებულება“, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებულთა გაწერილ ფუნქციებს და დადგენილია სკოლის სტრუქტურა. ამასთან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: 2 დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, ადმინისტრატორი, პიარ-მენეჯერი, IT მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ფსიქოლოგი, ექიმი, 1 დარაჯი, მეუზოვე, 3 დამლაგებელი, კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის შესაბამისი პერსონალი. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები, რომლის მიხედვით, დადგენილია მათი ფუნქცია - მოვალეობები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტში განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე. **რჩევა:** წარმოდგენილ სკოლის დებულებაში რეკომენდებულია მკაფიოდ გაიმიჯნოს სკოლის დირექტორების ფუნქციები, დაწესებულების ეფექტიანი საქმიანობისთვის და კოორდინირებული მუშაობისთვის მიზანშეწონილია დადგინდეს მაგალითად, ვინ იქნება უფლებამოსილი სკოლის დოკუმენტებზე, როგორიცაა ბრძანება, ხელშეკრულებები და სხვ. უფლებამოსილი გამოიყენოს სველი ბეჭედი და დაამოწმოს ხელმოწერით. კონკრეტულად რომელი დირექტორი განიხილავს და ამტკიცებს სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შპს სკოლა მილენიუმის დებულება;

სკოლის სტრუქტურა;

სამტატო განრიგი;

გაფორმებული ხელშეკრულებები;

კათედრების საქმიანობის აღმწერი დოკუმენტებით;

დისციპლინური კომიტეტის დამტკიცების დოკუმენტით;

მშობელთა სათათბიროს წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 20 ნოემბრის N1/101 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს

კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/6 ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმით. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწავლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; დაწესებულებაში სკოლის მასწავლებელთა შერჩევა და დასაქმება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპის დაცვით, სკოლაში მასწავლებლის დასაქმება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/6 ბრძანების შესაბამისად მიმდინარეობს, სკოლაში დატულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებელთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. სკოლაში დასაქმებული არის მოწვეული მასწავლებელი რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში დატულია ყველა თანამშრომელის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; სკოლაში დასაქმებულია 32 მასწავლებელი, უსტატუსოა- 10, ხოლო ამ უკანასკნელიდან 3 არის მაძიებელი მასწავლებელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და საინფორმაციო მართვის სისტემის

eschool სკოლის პროფილის შესწავლისას დადგინდა, რომ ზოგიერთი თანამშრომლის, მათ შორის მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, სპორტის პედაგოგთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება როგორც მოწვეულ მასწავლებელთან, თუმცა საათობრივი დატვირთვა სისტემაში 12 სთ დატვირთვით იყო დაფიქსირებული, ამასთან ორ უსტატუსო პედაგოგთან იყო გაფორმებული ხელშეკრულებები კანონმდებლობის დარღვევით, სკოლამ ვიზიტის პერიოდში ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ შეეცვალა საათობრივი დატვირთვა პედაგოგებთან და გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულებები.

სკოლის ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო პირობებს, რომლის მიხედვით „სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. აღსანიშნავია, რომ სკოლა პერიოდულად აცხადებს ვაკანსიას ექიმის პოზიციაზე, თუმცა სკოლის განმარტებით უშედეგოდ. **დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ ვადებს და აქტივობებს, რითაც აღნიშნული ინდიკატორი შესრულდება, კერძოდ, ექიმის პოზიციაზე კვალიფიციური კადრის აყვანა მოხდება 2025 წლის მაისამდე, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, ხოლო სკოლის სტრუქტურული ერთეულების: მოსწავლეთა ტვითმმართველობა, მშობელთა სათათბიროს საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპს, დამოუკიდებლად მოქმედებენ იღებენ გადაწყვეტილებებს, მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს „ჩვენ“ განცდისა და ერთგულების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში და ინიციატივების განვითარებას გუნდში. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმი სკოლას ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია, თუმცა დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინა სხვადასხვა სასკოლო პროექტების ამსახველი მასალა.

ასევე, ინტერვიუების დროს სკოლის თანამშრომლებმა გაუზიარეს ექსპერტებს ინფორმაცია ერთობლივად დაგეგმილი აქტივობების, ღონისძიებების თუ პროექტების თაობაზე, რომელთა ზეგავლენამ სასკოლო საზოგადოებაზე დადებით გავლენას იქონია. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

სკოლის შინაგანაწესი;

საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;

საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;

თანამშრომლეთა პირადი საქმეები;

შრომითი ხელშეკრულებები;

eschool ბაზის მონაცემები;

ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-13 მუხლი განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით: შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება;

შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება;კრიტიკული შემთხვევების შეფასება;გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასება;სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე, მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს;სკოლაში უწყვეტად ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია შიდა მექანიზმი, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების სახით, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ხელმძღვანელობს, მასწავლებლები გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ესწრებიან ტრენინგებს. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის განვითარების ხელშეწყობ აქტივობებს.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; სკოლა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც, ძირითადად, გამოიხატება შესაბამის ტრენინგებზე მათ დარეგისტრირებაში.ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის ფუნქციონირება,აღნიშნული დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით.სკოლის ხელმძღვანელის განმარტებით, სკოლის ექიმმა გაიარა კვების ორგანიზებასთან დაკავშირებული ტრენინგები.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-7-მე-9 მუხლი არეგულირებს თანამშრომლის სოციალიზაცია -ადაპტაციის პირობებს,რომლის მიხედვით: ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე. დირექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის N 1/116 ბრძანებით განსაზღვრულია „ მპს მილენიუმში ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა” , მოცემული პროცედურა მოიცავს ახალმიღებული თანამშრომლების სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის ეფექტურად განხორციელების პროცესის აღწერას, თანმიმდევრულ ნაბიჯებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დაწესებულების წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

სკოლის შინაგანაწესი;

ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს; სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის

უზრუნველყოფის ციკლს, კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად იკითხება ციკლურობა, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედვის ეტაპებს. პროცესული მიდგომა იკვეთება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ხარისხის ჯგუფების საქმიანობის დებულებაში და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის და ინტერვიუს შედეგებით სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლის ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობელთა სათათბირო. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის დებულებაში. სკოლის დებულებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში და სკოლის დებულებაში. ძირითადი პროცესი - საგანმანათლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ. -ში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესის მე-9 თავში „მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი. დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, როგორცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება, სკოლის გასაჩივრების წესი ხელმისაწვდომია სკოლის ვებ გვერდზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის N 1/53 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს სკოლა მილენიუმის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“, რომლის მიზანია მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მშობლის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით :

სკოლას აქვს შინაგანაწესი;

სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;

სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;

სკოლას ჰყავს ექიმი;

თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა;

სკოლას შემუშავებული და შეთანხმებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

სკოლის დებულება;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

საჩივრების განხილვის წესი;

დისციპლინური კომიტეტის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სკოლის მართვის ორგანოებში, რომლის მიზანია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმებული პირების

შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა კითხვარს, სკოლის მიერ წარმოდგენილია შევსებული კითხვარები, რომლის საფუძველზე სკოლის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილებები, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ ინიციატივები მართვით პროცესებთან დაკავშირებით გაზიარებულ იქნა, მაგალითისთვის მოიყვანეს სასკოლო ფორმების ცვლილება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. ყველა მასწავლებელი არის ჩართული მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. სკოლაში აქტიურად მუშაობს მშობელთა სათათბირო, ვიზიტის პერიოდში ექსპრტებს საშუალება ჰქონდა გასაუბრებოდნენ მშობლებს, სადაც მათ არაერთო მაგალითი მოიყვანეს სათათბიროს აქტიური საქმიანობის. ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრუქტურული ერთეულების დებულებებით;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა



1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში); დაწესებულებამ წარმოადგინა ღირეპტორის 2024 წლის 15 აპრილის N 1/52 ბრძანებით დამტკიცებული „შპს სკოლა მილენიუმის წესრიგის დაცვისა და ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები (დებულება)“, რომელიც აწესრიგებს სკოლა მილენიუმში წესრიგის დაცვისა და ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს, განსაზღვრავს სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ ღონისძიებებს და შეიმუშავებს ამისთვის საჭირო წესებს.დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში წესრიგის დაცვის მექანიზმებს ახორციელებს ადმინისტრაცია და დაცვის თანამშრომელი.სკოლის ადმინისტრაცია და დაცვის თანამშრომელი მუშაობენ სასწავლო

პერიოდში და მოწოდებული არიან დაიცვან მოსწავლეები, სკოლაში დასაქმებულები და სკოლის ქონება, უზრუნველყონ უსაფრთხო და მშვიდი სამუშაო და სასწავლო გარემო.ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ დოკუმენტის პროექტი,რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, თუმცა არ არის შეთანხმებული სათანადო წესით.

სკოლის მიერ წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 93 და აქტი N 185 (MIA 0 24 00759990 ;04.03.2024; 24.04.2024), რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნებს დაწესებულია ვერ აკმაყოფილებს. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც აღწერილია შენობის მდგომარეობა ტექნიკური თვალისაზრისით. (16.03.2010 წლით დათარიღებული), თუმცა არ არის უფლებამოსილი ორგანოს/ პირის მიერ გაცემული და არ ითვალისწინებს შენობის მდგრადობის საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით,სკოლა სახანძრო უსაფრთხოების წესების დაკმაყოფილებას შეძლებს 04.03.2026 წლამდე, ხოლო შენობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას მოიპოვებს 04.03.2025 წლამდე, გეგმის იხედვით, დაწესებულება უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტს შეათანხმებს 16.09.2024 წ.მდე,აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლის დირექტორი მიერ 2024 წლის 16 აპრილის N 1/58 ბრძანებით განსაზღვრულია „ სამედიცინო მომსახურების მექანიზმები,“ რომელიც ითვალისწინებს პირველადი დახმარების გაწევის წესს და პროცედურებს. სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით:სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, კარადები, შირმა, რომლებშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები . სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. სკოლას, სასწავლო წლის მანძილზე, განხორციელებული აქვს საგანმანათლებლოსაინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ბულინგის წინააღმდეგ და სასკოლო პროექტი: „ჯანსაღი ცხოვრების წესი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლაში არასრული დატვირთვით დასაქმებულია ფსიქოლოგი, რომლის საქმიანობა ეფუძნება სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 15 აპრილის N 1/51 ბრძანებით დამტკიცებული, „ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმებს“. წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, პოზიტიური ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის, ოჯახსა და სკოლას შორის ძლიერი კავშირის ჩამოყალიბების გაუმჯობესებას, სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერას. სკოლის მიერ დადგენილი წესის მიხედვით სკოლის ფსიქოლოგის ჩართულობა სსსმ მოსწავლეებთან მათი მხარდაჭერით უნდა ხორციელდებოდეს. **რჩევა:** სკოლამ შეიმუშაოს ფსიქოლოგის სსსმ მოსწავლესთან მუშაობის შესაბამისი განრიგი ან სხვ. სადაც მისი ჩართულობით მოხდება სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერა. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 ნოემბრის N 1/103 ბრძანებით დამტკიცებულია „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“, რომლის მიხედვით სკოლაში სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველ პირად განსაზღვრულია სკოლის ექიმი. ამასთან, ვიზუალური დათვალიერებით სკოლა მოწესრიგებულია სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 3 დამლაგებელი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 16 აპრილის N 1/57 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები“, სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, ასევე მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Edupage) გამოყენების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვ. სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული გეგმიური ინსპექტირების დასკვნა (03.07.2023), რომლის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ გამოვლინდა. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში სკოლის ვიზუალური დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ სკოლის შიდა პერიმეტრის ვიდესამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგს და ადმინისტრირებას ახდენს შენობის დარაჯი, სადაც განთავსებულია სკოლა, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა პერსონალური მონაცემების გაზიარებას უცხო პირისთვის. სკოლას მიეცა მითითება აღნიშნულთან დაკავშირებით, რაზეც ვიზიტის ფარგლებში სკოლამ შრომითი ხელშეკრულება გააფორმა შენობის დარაჯთან და განსაზღვრა პასუხისმგებელ პირად პერსონალური მონაცემის, კერძოდ ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების დაცვაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების

პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის, ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს ინტერნეტს, რომელზეც დაყენებულია პაროლი, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს საკითხებს, რომლის მიხედვით სკოლა შეძლებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. ამასთან, დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თვითშეფასების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებებით სკოლას ჰქონდა შესაძლებლობა ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;

საზოგადოებრივი დაცვის წესის დაცვის დოკუმენტი;

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით;

დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულებით;

დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულებით;

ვიზუალური დათვალიერებით;

შენობის მდგრადობის შეფასების დომუნენტი;

ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლის განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: ქ. რუსთავი.ბოსტან-ქალაქის ქუჩა N3 საკადასტო კოდი 02.05.12.023

დაზუსტებული ფართობი :4000კვ. მ

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1

სკოლა წარმომადგენს მოიჯარეს და უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაცემული აქვს 1247,3 კვ. მ ფართი. იჯარის ხელშეკრულება ავტორიზაციის ვადით არის დადებული.

პირველ სართულზე - საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, კვების ობიექტი, სველი წერტილებია განთავსებული.

მეორე სართულზე-საკლასო ოთახები ,სველი წერტილები,დირექციის კაბინეტი,სამასწავლებლო,ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაა;

ვიზიტის ფარგლებში სკოლაში ირიცხებოდა 102, მათ შორის 1 სსსმ მოსწავლე, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობას 165 მოსწავლეს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის(დარბაზი, ლაბორატორია).სკოლას შემუშავებული აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის

სარგებლობის წესი და განრიგი, კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის განრიგი. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევე ექიმის კაბინეტი. შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ასევე მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. შერჩევითი წესით სახელმძღვანელოების დათვალიერებისას ბიბლიოთეკაში არ იყო დაცული უცხო ენის (ინგლისური) სახელმძღვანელოები, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს, ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული სკოლამ გამოასწორა და უზრუნველყო წიგნების შესყიდვა და საბიბლიოთეკო წესით მათი აღრიცხვა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ეტლით მოსარგებლე პირს სკოლაში შემოსვლა შეუძლია დაუბრკოლებლად. ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი. შენობის სართულებზე გადაადგილება და სასწავლო რესურსების და სივრცეების ხელმისაწვდომობა შშმ პირებისთვის შეზღუდული არ არის, სკოლას გააჩნია პანდუსი. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა რესურსოთახი, ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე, სკოლამ გამოყო ოთახი რესურსთახისთვის. დაწესებულებას მიეცა რჩევა მოაწყოს და აღჭურვოს რესურსოთახი შესაბამისი რესურსებით და ინვენტარით. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოცო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგეგმება მათი კიდევ უფრო კეთილმოწყობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერებით;

მატერიალური რესურსების ფლობის დიკუმენტაციით;

შენობის აზომვითი ნახაზით;

ინვენტარიზაციის შედეგებით;

ბიბლიოთეკის დებულებით.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში 17 კომპიუტერია კომპიუტერულ კლასში; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერით და პრინტერით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერებით;

საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი (ბრძ. № 1/3). აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო დონისძიებების განხორციელებას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა მართვისთვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს ასევე edupage აქვს ფუნქციონალები, რომელიც გამოიყენება მასწავლებლებთან და მშობლებთან კომუნიკაციისთვის, ასევე ადმინისტრაციული პროცესების მართვისთვის. დოკუმენტბრუნვისთვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდენციების ჟურნალში გატარებული მონაცემებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი;

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;

შემოსული და გასული კორესპონდენციებით;

ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
